

დოქტორანტი თამარ ჩუბინიძე

ხელმძღვანელი, პროფ. ლევან ბერიძე

მოზაიკური ხელოვნების განვითარების ზოგადი მიმოხილვა

სემინარი - 1

სიტყვა „მოზაიკა“ ლათინურიდან მოდის და დაკავშირებულია სიტყვა „მუზასთან“ - ხელოვნება, რომელიც მიძღვნილი იყო შთაგონების ქალღმერთებისადმი.

მოზაიკური ხელოვნებითი იქმნებოდა და იქმნება დეკორატიულ - სახვითი და მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც სახვითი ხელოვნების სხვა ჟანრებთან ერთად არქიტექტურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

მოზაიკური ხელოვნების მრავალი ტექნოლოგია არსებობს, რომლებიც დროის განმავლობაში იცვლება. როგორც ვიცით მოზაიკა იკვრება პატარა კენჭებისაგან, სმალტისაგან, ნიჟარებისაგან, კერამიკული ფილებისაგან, რომლებსაც უბრალო ოთხკუთხედი ან რთული გეომეტრიული ფორმა აქვთ. ამას გარდა არსებობს მოზაიკის შერჩევის ორი ხერხი „პირდაპირი“ - რომლის დროსაც ნაწილები მაგრდება წინასწარ გამზადებულ გამაგრებულ მასაზე, რომელზედაც ნახატია დატანილი და „შებრუნებული“ როდესაც ნაწილები ეწეპება სახიანი მხრიდან ნახატზე, შემდეგ ეს წყობა ზურგის მხრიდან იფარება გასამაგრებელი ხსნარით, ეცლება დროებითი ქვედა საფუძველი და მიღებული ბლოკი მაგრდება პირდაპირ კედელზე ან ჭერზე.

იატაკის მოზაიკას უკეთდებოდა რთული მრავალი, ფენიანი საფუძველი, ჯერ იქმნებოდა მსხვილი ფენის ე.წ. ბალიში, რაზედაც მაგრდებოდა ფიცრების საფარი, გვერდები მაგრდებოდა ლურსმნებით რომ არ ემოძრავათ და არ მიეღოთ დეფორმაცია. ფიცრებზე აფენდნენ თივას რომ გაჯს არ დაესველებინა, შემდეგ ისევ აწყობდნენ მომცრო ზომის ქვებს და ასხავდნენ ხრეშითა და სილით გაჯერებულ ხსნარს, რომელსაც კარგად ტკებდნიდნენ. ასეთი საფუძველი ძირითადად ღია ცის ქვეშ გამოიყენებოდა. გარეგანი ზემოქმედებისაგან დასაცავად გრუნტს ამუშავებდნენ ხის ზეთით.

მოზაიკის ისტორია იწყება ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის II ნახევრიდან, მესოპოტამიის ქალაქებიდან. ამ დროის ტექნოლოგია განსხვავებული შემდგომისაგან.

თავდაპირველად 8-10 სანტიმეტრიანი კონუსისებური ფორმის ჩხირები ეწყობოდა ხსნარზე და იღებებოდა თეთრად, შავად ან წითლად. გამოიყენებოდა გეომეტრიული ფიგურები, რომბი, სამკუთხედი. ასეთი მოზაიკებით ამკობდნენ ნაგებობის კედლებსა და კოლონებს. დაახლოებით ამ პერიოდისაა ინკრუსტაციის ტექნიკაც - გამოყენებულია სმალტა, პერლამუტრი, ნიჟარა, წითელი თიხა - ასეთი ტექნიკითაა შესრულებული ე.წ. „შტანდარტი ურიდან“ – 2600 2400 წ.წ. ჩვ.წ. აღ-მდე, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. ეს არის ორი ერთმანეთთან ცილინდრულა შეერთებული სწორკუთხა ხის პლასტი 55X22.5 სმ. ორივე პლასტზე ლაზურიტის ფონზე ფრიზისებურად სამ იარუსად ლაგდებიან ფიგურები. გადმოცემულია ომის სცენები - დამარცხებული ტყვეების წარდგენა მეფისათვის და გამარჯვებულების პროცესია. ფიგურები სტატიურია, მაგრამ ძალიან ცხოველხატული და საინტერესოდ ფერადოვანი.

ჩვ.წ. აღ-მდე I საუკუნით თარიღდება ანტიკური მოზაიკები, რომლებიც აღმოჩენილია კორონდოში, ესენი ადამინების, ცხოველებისა და მითოლოგიური არსებების კონტურული გამოსახულებები, რომლებიც შემკულია მცენარეული ორნამენტებით ძირითადად შავ ფონზე თეთრით და სტილისტურად ძალიან უახლოვდება ანტიკური ლარნაკების წითელფიგურიან ფერწერას. ანტიკური ხანის მოზაიკებს აკრავდნენ „პირდაპირი“ მეთოდით, შემდეგ ზედაპირს აშალაშინებდნენ და მიიღებოდა კარგად ცნობილი ანტიკური მოზაიკის სწორი მზინავი ზედაპირი. ანტიკური მოზაიკის აყვავების პერიოდია ელინიზმის ეპოქა, ამ დროს უკვე გამოიყენებოდა ფერადი მინა, რაც ფერადოვანი გამის უსაზღვრო მრავალფეროვნების საშუალებას იძლეოდა და ჩნდებოდა ცხოველხატული, ფერწერასთან მიახლოებული რეალისტური გამოსახულებები.

მოზაიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია პომპეის მოზაიკები. ისინი ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნით თარიღდებიან. უმეტესი მათგანი ნეაპოლის ნაციონალ არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული.

მოზაიკური პანოები და იატაკის საფარველები მხატვრული სტილისტიკითა და სიუჟეტებით სათავეს უდებენ არამარტო მოზაიკის არამედ საერთოდ ხელოვნების განვითარებას. თითქმის ყველა ხელოვნების მიმდინარეობა იყრის თავს პომპეის მოზაიკებში - სიმბოლიზმი, რეალიზმი, პრივიტივიზმი და ა.შ. გასაოცარია ფერთა გამა და თვით მოზაიკური ელემენტები, რომლებიც ხშირად რამდენიმე მილიმეტრია.

პომპეის მოზაიკებიდან ყველაზე ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლის თემები. გასაოცარია ამ მოზაიკების ფიგურების დინამიზმი, ემოციურობა, ექსპრესია.

კომპოზიციები მრავალფეროვანი და ამავე დროს შეკრული და ერთიანია. რთულ კომპოზიციებში უამრავი ცხენოსანი მეომარი ფიგურაა რთული, ექსპრესიული მოძრაობებით. ამავე დროს მათი სახეები სიზუსტითა და რეალისტურად ისახება. ფერთა გამა განისაზღვრება თეთრი, შავი და შერეული წითელი და ყვითელი ფერებით. ფერთა ასეთი სიძუნწე გამოწვეულია არა მასალის ნაკლებობით, არამედ ტონალობა დაქვემდებარებული იყო მთელი ინტერიერის გადაწყვეტასთან. პომპეის მოზაიკებიდან ძალიან საინტერესოა ცხოველთა სერია - ლეოპარდი, ძაღლის რამდენიმე გამოსახულება. ამ მოზაიკებში კარგად შეიმჩნევა რომაული მოზაიკების ერთერთი ტიპური ხერხი - ფიგურის კონტური ხასგასმულია არამარტო ფერადი ქვებით, არამედ თვით ქვების ფორმით, ქვათა წყობით, ძალიან კარგად გადმოიცემა მოცულობა და ჩრდილები.

ძაღლების გამოსახულებები ხშირად იხმარებოდა სახლების შესასვლელელებში, გვხვდება როგორც დეტალურად დამუშავებული ასევე ზოგადი. გადმოიცემა მათი ხასიათიც, ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ გაავებული.

მოზაიკების ასეთი სხვადასხვა ხასიათი მათი შესრულების სხვადასხვა ხასიათზე მეტყველებს, რითაც ამ ხელოვნების განვითარებასაც შეგვიძლია ვადევნოთ თვალი.

საოცრად რეალისტური, მოძრავი და დინამიურია კომპოზიცია მუსიკოსების სცენით. ფერწერასთან გათანაბრებული უხვი დრაპირება, მეტყველი სახეები, ბუნებრივი მოძრაობები, შუქჩრდილი, ღია და მუქი ნაწილაკების მონაცვლეობით სრულდება. კოლორიტი მოოქროსფრო-მოწითალოა და თითქოსდა მზითაა განათებული. ასეთივე ბუნებრიობით თითქმის ნატურალისტურობამდეა მისული ფრინველებისა და თევზების გამოსახულებებიანი მოზაიკები. ფრინველის ბუმბული, თევზების თითოეული დეტალი მოზაიკისათვის დაუჯერებელი სიზუსტით გამოსახება, ხატოვანი ფერადოვანი გამით, შუქ-ჩრდილით, დენადი, ლამაზი მოძრაობებით. ეს კომპოზიციები შემდგომში თითქოსდა მეორდება ევროპულ მხატვრობაში. (სნეიდერსი)

პომპეის მაცხოვრებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ საცხოვრებლებს, მდიდარი არისტოკრატების საცხოვრებლების იატაკები გეომეტრიული და ორნამენტული ფერადი მოზაიკებით იფარებოდა, ინტერიერები ირთვებოდა ძალიან მდიდრული და ჰარმონიულ ფერადოვან გამაში შესრულებული ასევე მოზაიკური ხალიჩისებური პანოებითა და დეკორით. კედლებისთვის ფერადი სმალტა გამოიყენებოდა რაც შედარებით გვიანდულ პერიოდზე მიუთითებს, სმალტის

ელემენტები ძალიან პატარებია და ამის გამო ერთის შეხედვით ფერწერის ეფექტს უახლოვდება.

პომპეის მოზაიკებით შეიძლება მსჯელობა, თუ რამდენად ფეხგადმული იყო იმ პერიოდში ეს ხელოვნება, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ექსტერიერების ისე ინტერიერების შესამკობად.

ადრებიზანტიური პერიოდის მოზაიკები ტექნოლოგიითა და გამომსახველობით თითქოსდა ეყრდნობოდა ანტიკურს, მაგრამ რა თქმა უნდა გართულებული და გამდიდრებული იყო ახალი, ქრისტიანული მოტივებით. პრინციპული განსხვავება კი იყო ის, რომ თუ ბერძნულ-რომაულ არქიტექტურაში მოზაიკით ირთვებოდა მხოლოდ საერო ნაგებობები-სასახლეები, თერმები, საცხოვრებელი სახლები და ატარებდა წმინდა ფუნქციონალურ და ესთეტიკურ დატვირთვას, უკვე ქრისტიანულ პერიოდში მოზაიკური დეკორებით იმკობოდა ბაზილიკები, ტაძრები, სამარხები და ვიზუალური ამოცანები პირველ პლანზე გადმოვიდა.

ბიზანტიურმა ოსტატებმა შეიმუშავეს სმალტის წარმოების ტექნოლოგია. შედარებით ეკონომიური მინა იყო სმალტის საფუძველი, რომელშიც ერეოდა სხვადასხვა მეტალები: ოქრო, სპილენძი, ვერცხლი და შესაძლებელი იყო მიეღოთ რამდენიმე ათეული ტონალობის მასალა, რომელიც ძალიან ადვილად იჭრებოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოზაიკურ ელემენტებად, ძირითადად კი ჭრიდნენ ძალიან წვრილ ერთი ზომის სწორკუთხედებად.

ბიზანტიური მოზაიკები, რომლებიც ჩვენამდე შემორჩა, ძირითადად III- IV საუკუნეებს მიეკუთვნებოდა, ხოლო აღორძინება მოხდა VI-VII საუკუნეებში (ოქროს ხანა) და IX-XIV საუკუნეებში - ხატმებრძოლების შემდეგ.

ბიზანტიური მოზაიკები მონუმენტური და დიდი ზომების იქმნებოდა და ძირითადად ქრისტიანულ სიუჟეტებზე იყო აგებული. ბიზანტიური მოზაიკების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ოქროსფერი ფონი იყო, მოზაიკები ეწყობოდა პირდაპირი წესით, ფერადი სმალტა ოქროსფერ ფონზე როგორც ბუნებრივი განათების, ისე სანთლის განათების დროს ციმციმებდა და თვალისმომჭრელ და ცოცხალ ეფექტს ქმნიდა, ამას ეხმარებოდა ღია და მუქი ფერების გრადაცია დრაპირებებზე შუქ-ჩრდილის ეფექტისთვის. ასევე დამახასიათებელი ბიზანტიური ფრესკებისათვის იყო ფიგურთა კონტურები რომლებიც ერთ რიგად დაწყობილი სმალტის ელემენტებით იქმნებოდა ფიგურთა გარშემო მუქ ზოლად, ხოლო მეორე რიგი ფონის მხრიდან, ასეთი ხაზები მოციმციმე ფონზე კვეთდნენ ფიგურებს.

ქ. რავენას სან ვიტალეს ბაზილიკა VI საუკუნისაა, ინტერიერის კედლების, ნიშებსა და კამარებს ხალიჩისებურად ფარავს მოზაიკური დეკორი და მრავალრიცხოვანი სცენები ქრისტიანულ თემებზე. მრგვალ მედალიონებში წმინდანთა გამოსახულებებია ჩასმული. აბსიდაში იმპერატორი იუსტინიანეა და მისი მეუღლე დედოფალი თეოდორა იმდროინდელ წარჩინებულებთან ერთად ისახებიან.

მრავალფიგურიანი კომპოზიციები დეკორატიულ მოჩარჩოებებით იფარგლებიან. მცენარეული და ორნამენტული დეკორი, თვით ფიგურები ძალიან წვრილი სმალტით ეწყობა, დრაპირება მუქი და ღია ფერის სმალტის გრადაციით გადმოიცემა და ყველა დეტალი კონტურით იფარგლება. ტაძრის მთელი მოზაიკა მრავალფეროვანი და დეკორატიულია, ამავე დროს მონუმენტური. ოქროსფერი სიჭარბით, დეკორით, მოციმციმე პრიალა სმალტით მთელი ინტერიერი პომპეზურ ხასიათს ატარებს. ექსტერიერი აბსოლუტურად განსხვავებულია იგი მკაცრი და სადაა.

ასეთივე პომპეზური და მდიდრულია კონსტანტინეპოლის აია სოფიას ტაძარი. აია-სოფიას ტაძრის პირველი მოზაიკური ციკლი IX საუკუნეში შეიქმნა, აბსიდაში ღვთისშობლის გამოსახულებაა ყრმით ხელში, რომელიც ტახტრევანზე ზის. ოქროსფერი ფონიდან თითქოს ქანდაკებასავით იძერწებოდა ღვთისშობლის ფიგურა, ამ ეფექტის მუქი ტანსაცმელი და კონტური ქმნის. ძალიან წვრილი მოზაიკური წყობით მძიმე დრაპირება დეკორატიულად ეშვება და პომპეზური ხასიათის შექმნას უწყობს ხელ. ამავე დროს ამ მონუმენტურ, პომპეზურ ხასიათს მიწიერსა და ბუნებრივს ხდის მარიამის სახის რბილი, ქალური ოვალი, სწორი ფორმები, მომდიმარი გამოხედვა. ტახტრევანი გეომეტრიული დეკორით იმკობა.

ძალიან საინტერესოა გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურა ოქროსფერი ფონიდან თეთრი დრაპირებული სამოსით და ოქროსფერი შარავანდედით თითქოსდა ჰაერში მფრინავი მთავარანგელოზი გაშლილი ფრთებითაა გამოსახული, ასევე წვრილი სმალტით შესრულებული წყობა, დრაპირება, შუქ-ჩრდილი მოზაიკას ფერწერასთან აახლოებს.

აია-სოფიას ტაძრის მოზაიკები ბიზანტიური ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს, რადგან სრულდებოდა IX საუკუნის შუა წლებიდან X საუკუნის ბოლომდე ეტაპობრივად.

საინტერესო კომპოზიციური წყობით გამოირჩევა შესასვლელის მოზაიკური კომპოზიცია „იმპერატორი ლეო X მუხლს იყრის მაცხოვრის წინაშე“ - ცენტრში მჯდომარე ქრისტეა გამოსახული, აქეთ-იქით მედალიონებში ღვთისმშობლისა და

მთავარანგელოზ მიქაელის ნახევარფიგურებია ჩასმული, ხოლო ქრისტეს მარცხნივ მუხლმოდრეკილი ლეო X ფიგურაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლმოდრეკილ გამოსახულება კომპოზიციურად არაფერი არ აწონასწორებს მარჯვენა მხარეს, იგი მაინც გაწონასწორებული. ეს შთაბეჭდილება იქმნება მთელი კომპოზიციის ძირს გამოყოფილი თეთრი ზოლით, რომლის თითქოსდა ნაწილია ლეო X ფიგურა და ეს ზოლი მთლიანად მყარ საფუძველს უქმნის მთელ სურათს. ფიგურებს ნახევრადმრგვალი დეკორატიული თაღი ფარგლავს რომლის მუქი ლურჯი შეფერილობა ეფექტურ კონტრასტს ქმნის ოქროსფერ ფონზე.

ბიზანტიური მოზაიკის ხერხები-სმალტა, ოქროსფერი ფონი, მოზაიკური ელემენტების უსწორმასწორო ზედაპირი, მკვეთრი კონტურები როგორც ფიგურებზე ასევე ფონზე - გამოიყენება როგორც შემდგომ შუასაუკუნეებში, ასევე თანამედროვე მოზაიკურ ხელოვნებაში. “Pietza Duza” - რაც იტალიურიდან თარგმანიით „იმიტირებულ ქვას“ ნიშნავს.

XVI საუკუნიდან ჩნდება ე.წ. „ფლორენციული მოზაიკა“ - ამ დროისთვის სიახლე იყო ერთის მხრივ ის, რომ გაპრიალებული, ფერადი ქვების ინკრუსტაციები უკვე ხის ავეჯის მოსაპირკეთებლადაც გამოიყენებოდა და მეორეს მხრივ უნდა გადმოცემულიყო რეალიზმის მხატვრული პრინციპები. ფერწერული ტილოების ქვაში გადმოცემა ახალ ტექნოლოგიებს ითხოვდა.

1580 წელს ფლორენციაში, უფიციში მედიჩების ოჯახმა დაარსა მოზაიკის სახელოსნო. გამოიყენებოდა სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები - მარმარილო, იაშმა, ლაზურიტი, აქატი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, სერდოლიკი, მალაქიტი, ქალცედონი და სხვა, რომლებიც იჭრებოდა თხელ ფირფიტებად და თითქმის ღარების გარეშე იკვრებოდა გაპრიალებული ზედაპირით. ასეთი წყობით და სხვადასხვა ფერთა გრადაციით თითქმის ფერწერული ეფექტი იქმნებოდა. რაც უფრო მეტი სხვადასხვა ხარისხის ქვა გამოიყენებოდა, რომლებსა თავიანთი ინდივიდუალური ფაქტურა, ჟღერადობა, ნახატი აქვთ, მით უფრო რთული იყო მათი ისეთი წყობა, რომ მიღებულიყო ერთიანი სიბრტყე, ღარების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური მარმარილო შედარებით რბილია დასამუშავებლად, მთელი ტექნოლოგია ძალზე რთული და შრომატევადი იყო და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა.

XIII-XIV საუკუნეებიდან ვრცელდება მაიოლიკის მოზაიკა ისლამურ ქვეყნებში. შუააზიის ქვეყნებში შექმნილი მოზაიკებიდან ყველაზე საინტერესოა XIV-

XV საუკუნეების სამარყანდისა და ბუხარის ტაძართა მოზაიკები, ასევე ტურაბეკ-ხანის მავზოლეუმის გუმბათის მოზაიკა.

რუსეთში სმალტის მოზაიკის ტექნიკა მ.ვ. ლომონოსოვმა ააღორძინა მე-18 საუკუნეში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ბატალური კომპოზიციები და დაზგური პორტრეტები, 1864 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შეიქმნა განყოფილება, სადაც მზადდებოდა მოზაიკები „ისაკის ტაძრის“ მოსაპირკეთებლად.

მოზაიკური ხელოვნება საქართველოშიც გავრცელდა. გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში I საუკუნის მე-2 ნახევრის მოზაიკებია აღმოჩენილი. აბანოს ნაშთების ცენტრალურ მონაკვეთში დიდ ტერიტორიაზე მოვარდისფრო და მუქი ფერის ქვების მონაცვლეობით ჭადრაკული და რომბირებული გეომეტრიული ორნამენტები უკვე საქართველოში ამ ხელოვნების არსებობაზე მეტყველებს. მოზაიკით იყო შემკული ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკის იატაკი, თვით მოზაიკა VI საუკუნით თარიღდება. როგორც აღმოჩნდა მოზაიკა ამ ტაძარს არ ეკუთვნოდა, არამედ უფრო ძველს და მასზე აიგო ახალი. მოზაიკა შესრულებულია ფერადი ქვის თეთრი, შინდისფერი, ყვითელი და შავი ოთხკუთხა ნატეხებით, სუფთად დაფქული აგურისა და კირის ხსნარზე. იატაკი დაყოფილი იყო სხვადასხვა ზომის სექტორებად რომლებიც ორნამენტული ჩარჩოებით იფარგლებოდნენ. აბსიდის ცენტრში მედალიონია ქრისტე პანტოკრატორის მონოგრამით „ალფას“ და „ომეგას“ ნიშნით, მონოგრამის ორივე მხარეს აკანთის ფოთლების ხვეულების ფართო ზოლია ჩარჩოსავით შემოვლებული, მარჯვენა მხარეს აყვავებული ხის შტოა ფრინველთა გამოსახულებით. მთელი კომპოზიცია გეომეტრიული ხვეული ორნამენტებით ფორმდება, რომელთა შორის ფრინველთა და თევზების მოზაიკური ფიგურებია. კარიბჭესთან შადრევანია გამოსახული, ეკლესიის სხვადასხვა ნაწილში ფრაგმენტებადაა შემორჩენილი ირმების ფიგურები. მთელი მოზაიკა მდიდარი ფერადოვანი გამითაა გადაწყვეტილი. წყლის ლურჯი შეფერილობა, ყვითელ და ვარდისფერ ფერებში გადმოცემული ფრინველთა და ცხოველთა ფიგურები აქაიქ ჩართული წითლით, თეთრი ფერის ელვარება მთლიანად ცხოველხატულ ხასიათს ქმნის. შესრულების მანერა თავისუფალია და ძალიან მიახლოებული ელინისტურ ტრადიციებთან. ამასთან შერწყმულია ადგილობრივი ორნამენტული ტრადიციებიც.

საქართველოში მოზაიკური ხელოვნების განვითარებაზე მსჯელობა ძალიან ძნელია, იმდენად, რამდენადაც მასალა ძალზე ცოტაა და ქრონოლოგიას მოკლებული.

შუა საუკუნეების მოზაიკურ ხელოვნებას განეკუთვნება წნორის VII საუკუნის ეკლესიის მოზაიკა, რომელიც საკურთხევლის კონქს ფარავდა, დღეისათვის უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ცენტრში გამოსახული ყოფილა მაცხოვარი, კურთხევის ნიშნად ზემოთ აღმართული მარჯვენა ხელით. მოზაიკის კენჭების შერჩევა და მისი ძირითადი ფერები არ გამოირჩევა დიდი სხვადასხვაობით, კომპოზიცია წვრილი და მსხვილი კენჭების მონაცვლეობით იგება. მოზაიკური მხატვრობის ნიმუში შემორჩენილი იყო აგრეთვე მცხეთის ჯვრის ტაძრის საკურთხევლის აბსიდის კონქში.

ქართველი მოზაიჩისტების ბრწყინვალე ოსტატობისა და მაღალმხატვრობაზე ლაპარაკობს მოზაიკური მხატვრობა გელათის ტაძრის აბსიდის კონქში, რომელიც 1125-1130 წლებით თარიღდება.

მოზაიკაზე, რომელიც ტაძრის აბსიდის კონქზეა, გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მათ წინ მდგომი მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი. ფონი მთლიანად ოქროსფერია, რომელზეც მკვეთრად გამოიკვეთება სცენის ყველა ფიგურა, განსაკუთრებით კი ღვთისმშობელი თავისი ლურჯი მოსასხამით, რაც მძიმე დრამირებით ეშვება და მკვეთრი კონტურის გამო თითქოსდა სკულპტურულად წარმოგვიდგენს ფიგურას. ასევე ზედმიწევნით ისახება მთავარანგელოზთა პლასტიკა და ხასიათი, მოზაიკური წყობა იმდენად მჭიდროა, რომ აბსოლუტური ფერწერულობის შთაბეჭდილება იქმნება.

მოზაიკურმა ხელოვნებამ თანდათანობით განვითარება ჰპოვა და ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სახვითი ხელოვნების დარგებს შორის.

თანამედროვე მოზაიკურ მხატვრობაში ჭარბობს დიდი კომპოზიციები, რომლებიც აგებულია ლოკალურ, ფერადოვან გამებზე. ასეთ კომპოზიციებს ქმნიან გაუდი, რენატო გუტუზო, ფ. ლეჟე დ. რივერა და ა. სიკეიროსი. თანამედროვე მოზაიკის აღმავლობა, 1930 წლებიდან შეიმჩნევა ჩვენს ქვეყანაში. ეს გამოწვეულია ხელოვნებათა სინთეზის ახალი მოთხოვნილებებით., მასალის, ტექნიკის საშუალებებით. მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების ეს დარგი სულ უფრო და უფრო მეტად მკვიდრდება.

1954 წელს არქიტექტორ კ. თოფურიძემ მოსკოვში, მიღწევათა გამოფენაზე ააგო შადრევანი „ქვის ყვავილი“, რაც საბჭოეთის სიმდიდრის ერთგვარ სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო ამ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ვიზუალური ეფექტი იქმნებოდა შადრევნის ცენტრალური ნაწილის მოზაიკური საფარველით.

რკინა - ბეტონის ყვავილის კონსტრუქცია მთლიანად დაფარულია ფერადი და ოქროსფერი სმალტით, რაც მზის შუქსა და წყლის ჭავლთან ერთად საოცარ ელვარებას იძენს. ეს შადრევანი მთელი ამ ტერიტორიის საოცრად ეფექტური დომინანტი გახდა.

აღსანიშნავია მოზაიკური პანოები „ბოროდინოს პანორამის“ ფასადზე, რომელიც 1962 წელს აიგო, (ავტ. ბ. ტალბერგი). აქ ორი პანოა, თითოეული 75 კვ.მ - „სახალხო აჯანყება და მოსკოვის ხანძარი“ და „რუსეთის არმიის გამარჯვება და ნაპოლეონის განდევნა“. მოზაიკები ძირითადად ორ ფერშია გადაწყვეტილი - წითელი და ნაცრისფერი, ამ ტონალობების გრადაცია, რომელიც საკმაოდ მკვეთრია, ქმნის არა ფერწერულ ეფექტს, არამედ გრაფიკულს, ხოლო შედარებით სტატიური ფიგურები მონუმენტურობას აძლევენ პანოს. ასეთი გამომსახველობა დამახასიათებელი გახდა იმ პერიოდისათვის.

XX საუკუნის მოზაიკური ხელოვნების კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მაგალითია კლასიკური ბალეტის მოცეკვავის რუდოლფ ნურიევის საფლავი პარიზთან ახლოს.

ეს არის ერთ-ერთი აღმოსავლური ხალიჩის ზუსტი იმიტირება, რომლებსაც აგროვებდა მოცეკვავე. ავტორი მისი მეგობარი და პარიზის იმპერიის წამყვანი მხატვარი ენტო ფრიჯეროა.

ქსოვილის ტექსტურის გამომსახვისათვის გამოყენებულია მოზაიკა, იგი შედგენილია ძალიან წვრილი, ძირითადად სწორკუთხა ელემენტებისგან, და იმდენად მჭიდროდაა ჩასმული ერთმანეთთან რომ აბსოლუტურად შეუმჩნეველია ღარების არსებობა, ამასთან ერთად ზედაპირი გაუშალაშინებელია, და აბსოლუტური ქსოვილის ილუზიას ტოვებს. ტონალურად თავშეკავებული, ძირითადად ოქროსფერი, ბორდო და ლურჯი მოზაიკური ხალიჩა აღფრთოვანებას იწვევს არა ერთ მნახველში.

მოზაიკური ხელოვნების წამყვან მხატვრად საქართველოში ზურაბ წერეთელი გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ მან გაამრავალფეროვნა მოზაიკური ხელოვნების თემატიკა და დიაპაზონი, შექმნა არა მხოლოდ ცალკეული დეკორატიული პანოები არამედ რამდენიმე არქიტექტურული ანსამბლის მთლიანი დეკორატიული საფარველი.

ბიჭვინთის კომპლექსის მშენებლობა იყო ჩვენს ქვეყანაში პირველი ცდა ასეთი სახის ანსამბლის პროექტირებისა და აგებისათვის. თავიდან გამოცოცხლდა ის ადგილი,

სადაც როგორც ზემოთ ავლნიშნეთ IV საუკუნეში შეიქმნა შესანიშნავი მოზაიკური ნიმუშები. ყველაფერმა ამან საშუალება მისცა ზურაბ წერეთელს არა მარტო ეხელმძღვანელა კომპლექსის მხატვრული გაფორმებისათვის და აელორძინებინა ბიჭვინთის მოზაიკები, არამედ საკუთარი ხელით შეესრულებინა სამუშაოები, რომლებმაც გააერთიანეს ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის მთელი ტერიტორია, შესასვლელი თალიდან დაწყებული, უკანასკნელი კორპუსით დამთავრებული.

ერთიანმა კომპოზიციამ კომპლექსის ცალკეულ ელემენტებს მიანიჭა ახალი ჟღერადობა და დააკავშირა ისინი არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ მრავალფეროვან გარემოსაც.

ამას გარდა, ყველაზე მეტად, რამაც ხელი შეუწყო წერეთლის მოზაიკებს ბიჭვინთასთან ორგანული შერწყმისა იყო მხატვრული მემკვიდრეობა. ფერადოვან მოზაიკურ პანოებში, რომლებიც ხშირად მრგვალი ფორმის სმალტისგანაა შესრულებული, მხატვარი მიმართავს ძველ ხალხურ-დეკორატიულ მომენტებს, რომლებსაც ახლებურ სახეს ანიჭებს. მხატვარი არა მხოლოდ დიდ სივრცეებს ამკობს, არამედ იგი ცდილობს ეროვნული სახე მიანიჭოს კომპლექსის თითოეულ ნაგებობას, აკეთებს მათთვის ემბლემებს, თითოეული ოთახის გასაღებისთვის მედალიონებსაც კი.

ბიჭვინთაში 7 დასასვენებელი კორპუსი იყო, „ივერია“, „აპსნი“, „კოლხეთი“, „ოქროს ვერძი“, „ბზიფი“, „ამრა“ და „შუქურა“.

დასასვენებელი კორპუსის „ოქროს ვერძის“ მახლობლად თავმოყრილია რამდენიმე მოზაიკური კედელი. ერთ-ერთი მათგანი კორპუსის მარცხენა მხარეს დგას, თითქმის მის პარალელურად, ერთ მხარეს არის კომპოზიცია „თევზები“, რომელიც შნობის ფონზე იკითხება და თავისი კომპოზიციური წყობით თითქოსდა შეესაბამება აივნების ჰორიზონტალურ განლაგებას. გამოსახული ფიგურები სმალტის სხვადასხვა ფერის ნატეხებით გამოსახებიან, აქ არის ვარდისფერი, ცისფერი, ნარინჯისფერი, შავი, იასამნისფერი, რომლებიც ერთიან, ლამაზ ფერადოვან გამას ქმნიან. ამ სწოკუთხა კედლის პერპენდიკულარულად დგას უკვე სრულიად განსხვავებული ფორმის, წაგრძელებული ლაღი კონტურის მქონე შედარებით დაბალი კედელი, რომელიც განმტვირთავ პაუზას აკეთებს სწორკუთხა შენობების ფონზე. კედელს ორი გამჭოლი ღიობი აქვს. კომპოზიცია „მზე“ - რომელიც ამ კედელს ფარავს, ლაღი და თავისუფალია. ძირითადად ნარინჯისფერ, ცისფერ ტონებშია გადაწყვეტილი, მაგრამ საერთოდ ივსება უამრავი ფერის სმალტით რომლებიც ჰარმონიულად ეთანხმებიან

ერთმანეთს და ლამაზ, თვალისმომჭრელ და ამავე დროს ერთიან გამას ქმნიან. კიდევ ერთი კომპოზიცია „მტრედები“ - თითქმის ზუსტი გამეორებაა IV საუკუნის ბიჭვინთის მოზაიკების ერთ-ერთი კომპოზიციისა, მაგრამ მას უკვე თავისებური ინტერპრეტაცია გაუკეთა მხატვარმა და ძველი ხელოვნების აღორძინებულ სახედ მოგვივლინა.

გარდა ღია ცის ქვეშ შესრულებული მოზაიკებისა, რომლებიც განკუთვნილია დამსვენებელთა სეირნობისას აღსაქმელად, მხატვარმა გააფორმა ის ადგილებიც, სადაც მაყურებელს უფრო დიდხანს უხდებოდა ყოფნა. გაფორმებულია კორპუსების შიდა სივრცეებიც, სასადილო კორპუსის ფოიეში მთელ კედელს მოზაიკური ხალიჩა ფარავდა. ერთიან ცისფერ ფონზე, რომელიც აქა-იქ წითელი კენჭებით ცოცხლდება გამოსახულია უზარმაზარი წითელი მზე, მასში შერეული ყვითელი, ლურჯი, თეთრი სმალტიის ნატეხებით. ეს კომპოზიცია შედარებით მსხვილი სმალტისგანაა შედგენილი, მასში შერეული წვრილი სხვადასხვა ფერის კენჭებით, რაც ელვარებას ანიჭებს მთელ ფერადოვან ხალიჩას. პირველი სართულის კომპოზიციას თითქოსდა აგრძელებს მეორე სართულიც - აქ ცისფერ ფონზე თეთრი, წვრილი სმალტით შედგენილი ბადე გამოიყოფა, მასზე ვერძის გამოსახულებით. იგი მსხვილი, მრგვალი ფორმის სმალტითაა შედგენილი და მუქი წითელი ფერისაა გარშემო შემოვლებული თეთრი, უკვე წვრილი ნატეხებით შედგენილი კანტურით, რომელიც გამოჰყოფს მას.

ვერძის გამოსახულება სქემატურია, ერთიან ლაქადაა მოცემული, მისი ფიგურა ისევე როგორც სხვა სიძველიდან აღებული კომპოზიციები ძველებური, ქართული ბალთის ინტერპრეტაციაა და ამავე დროს თითქოს კოლხური ვერძის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს.

საინტერესო კომპოზიციაა ბარის კედელზეც. იგი ნათელ მოთეთრო-მოვერცხლისფრო ტონებშია გადაწყვეტილი და წვრილი, სწორკუთხა სმალტის თეთრი და რუხის მონაცვლეობით იქმნება. აქა-იქ ფერადოვნების გასაძლიერებლად მსხვილი, მრგვალი წითელი, ლურჯი, ყვითელი სმალტის ნატეხებია მიმოფანტული, რომლებიც ნათლად გამოიყოფიან. მოზაიკა მთელ არეს ფარავს, რომელსაც გარშემო დაჰყვება მუქი წითელი მსხვილი კანტური, იგი არასწორი მოხაზულობისაა და კედელზე ჩამოსაკიდებელი, სიმძიმისგან ზოგ ადგილას დაწეული ხალიჩის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოზაიკური ჩანართებით მთელი კომპლექსის ასეთი გადაწყვეტა ორგანულად ერწყმის გარემომცველ ბუნებას, აერთიანებს მას საერთო გარემოსთან და ამავე დროს ალამაზებს და ფერადოვანი ჟღერადობა შეაქვს მთელს კომპლექსში.

ბიჭვინთის მოზაიკების შემდეგ ზ. წერეთელი უკვე თანდათან ანვითარებს თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს, მისი შემდგომი ნამუშევრები უკვე თავისებურ ხასიათსა და ელფერს იძენდნენ იმისდა შესაბამისად, თუ სად და რა დანიშნულებისთვის სრულდებოდნენ.

„პროფკავშირების“ სასახლის უზარმაზარ მოზაიკურ ხალიჩას 2 წელი დაეთმო. უჩვეულო იყო მხატვრის მიერ ჩაფიქრებული იდეა, შრომის თემა გადაწყდა ხალხური თქმულებების ტრადიციულ სიმბოლოებზე. მცირე სმალტის ნატეხებისგან შედგენილი მოზაიკა პატარ-პატარა ორნამენტული ნახატიდან თანდათანობით გადადის დიდ გამოსახულებებზე და ერთი შეხედვით უწესრიგო კომპოზიცია მოწესრიგებულად გვევლინება.

თბილისში, გამარჯვების პარკის აუზისთვის მხატვარმა შექმნა მოზაიკური ფრიზი, რომელიც ძალზე სადა და ლაკონურია, მაგრამ ზუსტად პასუხობს დანიშნულებას. გრძელ, ვიწრო, ჰორიზონტალურ კედელს მთლიანად მიჰყვება გაფრიალებულ დროშათა აურაცხელი რაოდენობა, რომლებიც თითქოსდა ერთმანეთს ეფინებიან. ცენტრში სტილიზებული მზის დისკოა, რომლის ორივე მხრიდან იშლება კომპოზიცია. მონაცრისფრო - მოვერცხლისფრო წვრილი სმალტისგან შედგენილ ფონზე ასევე სმალტის წვრილი ნატეხებით შექმნილი ინტენსიური წითელი ზოლი იშლება, რომელიც ეფექტურ, მაჟორულ აქცენტს ქმნის მთელი პარკისთვის.

სხვა ამოცანებს ისახავს ზ. წერეთელი თბილისში, ავტოსადგურის შენობის ფასადზე მოთავსებული პანოს გადაწყვეტისას. ეს არის რელიეფურად დამუშავებული უსწორმასწორო გარშემოწერილობის მქონე კომპოზიცია, სხვადასხვა დროისა და მარკის ავტომობილების გამოსახულებებით, რომლებიც კვეთენ ერთმანეთს.

ეს მოზაიკის რელიეფური გადაწყვეტა თითქოსდა უჩვეულოა, მაგრამ ძალიან საინტერესო, და მხატვრის შემდგომი ძიების საგნად იქცა, რომელიც პლასტიკური ამოცანებისა და მოზაიკით შედგენილი ფერის დაკავშირების პრობლემას გულისხმობს.

საინტერესო მოზაიკური დეკორი ფარავდა რესტორან „არაგვის“ ფასადსა და ინტერიერს. სმალტის წვრილი ნატეხებისგან შედგენილი ფასადის კომპოზიცია ხვეული ორნამენტებით იფარება. ამ კედლის კაშკაშა კოლორიტს იმყარებდა შენობის წინ მოთავსებული ასევე მოზაიკით დაფარული აუზის კედლებიც და გამოსახვის ტექნიკით, კოლორიტით აუზი და შენობა მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ინტერიერის მოზაიკური პანო შინაარსობრივად რესტორნის ფუნქციას შეესაბამებოდა, მიუხედავად კონკრეტული სიუჟეტისა, გამოსახულ პერსონაჟთა

განზოგადოებით, მათი სქემატური გამოსახვით მოზაიკა მონუმენტურ ხასიათს ატარებს. გარე კედელთან შედარებით სმალტის ნატეხები აქ უფრო დამუშავებულია, მოწესრიგებულად განლაგებული.

ამოცანები, რომლებიც ზ. წერეთელმა ავტოსადგურის გაფორმებისას დაისახა, ანუ ფერისა და პლასტიკის სინთეზი, უკვე დასრულებული სახით ადღერის საკურორტო კომპლექსის გაფორმებაში გამოვლინდა. ბიჭვინთისგან განსხვავებით, ეს ტერიტორია ნაკლებად გამწვანებულია, ამიტომ თავისუფალი, გაშლილი სივრცის დროს უკვე სხვა ამოცანები დგება. აქ ერთმანეთის პარალელურად ჩამწკრივებულ კორპუსებს შორის მხატვარი მთელს ტერიტორიაზე ფანტავს ფერადოვან აქცენტებს, რომლებიც საერთო სილამაზეს, სიხალისეს ანიჭებენ საკურორტო კომპლექსს.

ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას დიდი მოედანია დატოვებული, სადაც უსწორმასწორო მოხაზულობის აუზში უზარმაზარი კომპოზიცია „მარჯანი“ დგას. ეს ბეტონის 15 მეტრის სიმაღლის ერთმანეთთან დაკავშირებით ხუთი სხვადასხვა მოხაზულობის კედელია, ბეტონის კარკასი მოწითალო-აგურისფერი საღებავითაა შეღებილი, რომელიც დაფარულია სხვადასხვა ფერის, ძირითადად კი წითელი სმალტის მტვერით, რაც ინტენსიურობას მატებს მთელ გამას, წვრილი სმალტის კენჭებით ეწყობა ასევე თითქოსდა კედელზე ჩამოყრილი უსწორმასწორო ზოლები, კენჭები მუქი წითელი, ნარინჯისფერი, ყავისფერი, თამბაქოსფერია მაგრამ მთლიანობაში სიკაშკაშის და ლამაზი ფერადოვანი გამის ეფექტს ქმნის დ მთელი კომპლექსის ლამაზი, ფერადოვანი აქცენტია.

როგორც ავლნიშნეთ „მარჯანი“ დაბალ აუზში დგას, რომლის ფსკერი და კედლებიც ასევე მოზაიკითაა დაფარული.

როგორც ავლნიშნეთ ეს კომპოზიცია მთელი კომპლექსის ერთ-ერთი ნაწილის ფერადოვანი აქცენტია, მთელი კომპლექსის ტერიტორიაზე მიმოფანტულია აბსტრაქტული ფიგურები, თევზებისა და წყლის სხვა ბინადართა მოზაიკით დაფარული სკულპტურული გამოსახულებები. ფიგურები ნახევარი მეტრის სიმაღლისა და თითქმის ერთი მეტრი სიგრძისანი არიან. ფიგურების შეფერილობა მრავალფეროვანი და ჟღერადია ამავე დროს პირობითი, ყვითელი, წითელი, ლურჯი, შავი, თეთრი ზოლები, რგოლები, კვადრატები ენაცვლებიან ერთმანეთს და საერთო ფერადოვან, ცხოველხატულ და მხიარულ ტონალობას ქმნიან.

ზღვის ფლორისა და ფაუნის ხმელეთზე ამოტანა, მათი გამოყენება დანიშნულების მიხედვით, მათი ჟღერადი, მხიარული კოლორიტი, მხატვრის უსაზღვრო ფანტაზიასა და გემოვნებაზე მეტყველებს. აუზები, ბავშვთა სათამაშო მოედნები, დასასვენებელი

კუთხეები აცოცხლებდნენ ახლადგაშენიანებულ კურორტს სადაც სიმწვანე მოკლებულ ტერიტორიაზე მხოლოდ შიშველი კორპუსები იყო ამოზრდილი.

ზურაბ წერეთლის მოზაიკებით გაფორმდა ისეთი საკურორტო ადგილები, როგორცაა ბორჯომი, ლიკანი, საირმე. ამას გარდა მოზაიკითაა გაფორმებული საელჩოს შენობა ბრაზილიაში.

ზურაბ წერეთლის გარდა მოზაიკურ ხელოვნებაზე მუშაობდნენ სხვა ქართველი მხატვრებიც - მაგ. ნ. იგნატოვმა მოზაიკური ფრიზით შეამკო საცურაო კომპლექსის ფასადი, რ. თორდიამ და ა. ხარებავამ გააფორმეს თბილისში მეტროს სადგური „პოლიტექნიკური“.

ყველა მხატვარი თავისებურად უდგება მოზაიკურ ხელოვნებას, იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიას, გამომსახველობას და ეს ყველაფერი არქიტექტურასთან სინთეზით მნიშვნელოვან ემოციურ გავლენას ახდენს.

XX საუკუნის მოზაიკურ ხელოვნებაში მოხდა მრავალი სტილისა და სკოლის შეცვლა და უკვე ოთითგანვე ხელოვნებაში მიიღო ახალი სახეები.

მონუმენტური ხელოვნების ეს სახე საკმაოდ რთული და მრავალმხრივია, იგი საკმაოდ ძვირადღირებული იყო ყოველთვის, მაგრამ ამავე დროს ძალიან დიდი გამძლეობის მატარებელი. თანამედროვე ტექნოლოგიებით მიღწეულია მოზაიკური ხელოვნებისათვის სხვადასხვა მასალის გამოყენება. ეს არის კვარციტი, მურანოს მინა, ასევე უჟანგავი ფოლადი და ნატურალური ოქროც კი. მოზაიკური პანოებისთვის უკვე გამოიყენება ბამბუკიც და ქოქოსის ქერქიც - მაგრამ ქოქოსი იმდენად მყარი მასალაა, რომ მისი გამოყენება ლაზერული ტექნიკის გარეშე შეუძლებელია.

როგორც ზევით დავინახეთ, მოზაიკური ხელოვნება ხშირად გამოიყენებოდა ფერწერის ალტერნატივად. მოგვიანებით, პუანტელისტებმა ფუნჯის მონასმები წერტილოვანით შეცვალეს და აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთის გვერდით დასმული სხვადასხვა ფერის წერტილები შორიდან სხვა ფერს წარმოქმნიდნენ და მოზაიკის ეფექტს ქმნიდნენ. (ჟორჟ სიორა 1886 წ.) მუშაობდნენ პოლ სინიაკი. ჯონ როი, ვან გოგი, კამილ პისარო და სხვა.

მოზაიკური ხელოვნება მდიდრდება და პოპულარობით სარგებლობს. ორგანიზაციები - თანამედროვე მოზაიკის ბრიტანული ასოციაცია და ამერიკელ მოზაიკის ხელოვანთა საზოგადოება სულ უფრო ანვითარებენ ამ დარგის ხელოვნებას.

ლიტერატურა

1. Вазари Э. «Жизнеописание наиболее знаменитых Живописцев, ваятелей и зодчих»
М. Terra 1996г.
2. ირ. ციციშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისი 1995წ.
3. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისი 1961წ.
4. „გელათი - არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები“ თბილისი 1982წ.
5. Швидновский О.А. – Гармония взаимодействия: архитектура и монументальное
Искусство» М. Цтрройиздат 1984г.
6. «Всеобщая История Исскуств» - Том 1,2,3 (1956-1960, 1962гг).
7. Зураб Церетели, Алпатовские чтения – 2004г.
8. Олег Швидковский – Зураб Церетели – 1985г.
9. Зураб Церетели. Три альбома – 1996г.